აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი №21 11 ივლისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/49 06.07.2017 წ.)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

ინიციატორი	ავტორი
უმაღლესი საბჭოს წევრები: **დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია**	უმაღლესი საბჭოს წევრები: **დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

შემოსვლის თარიღი	კომისიებში მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი
06.07.2017 წ.	წამყვანი კომისია: 31.07.2017წ. სხვა კომისიები: 25.07.2017წ.	საშემოდგომო სესია

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია;
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია;
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია;
საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

კომისია, რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -8- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ნინო ჩხეტია

09-01-08/49
06 07 2017
9 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 67-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის გახსნისას ჩატარებული რეგისტრაციის შედეგების მიხედვით სხდომათა დარბაზში არ იმყოფება უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, სხდომის თავმჯდომარე რეგისტრაციის ჩატარებიდან 15 წუთის განმავლობაში ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. თუ ამ შემთხვევაშიც არ აღმოჩნდა უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, მომდევნო 45 წუთის განმავლობაში სხდომის თავმჯდომარე ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს სხვა გადაწყვეტილება.“.

ბ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უმაღლესი საბჭოს სხდომის გახსნისას და კენჭისყრის წინ უმაღლესი საბჭოს წევრთა რეგისტრაციის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი აღრიცხავს უმაღლესი საბჭოს წევრთა დასწრებას. ფრაქციათა თავმჯდომარეები, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – ფრაქციის მდივნები, რეგისტრაციამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს წერილობით აწვდიან ინფორმაციას მათი წევრების მიერ სხდომის გაცდენის მიზეზების თაობაზე. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, მის მიერ სხდომის გაცდენის მიზეზის თაობაზე სხდომამდე თვითონ აცნობებს წერილობით უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

6. თუ დადგენილ ვადაში ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირები არ მიაწვდიან უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს ინფორმაციას, უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად ჩაეთვლება.“.

გ) მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ ფრაქცია, დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობაზე. ამის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

9. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინება. აღნიშნული მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იქნეს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი - პლენარული სხდომის გაცდენის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე) - კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში.".

2. 144-ე მუხლის:

ა) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, დაექვითება სანქციის გამოყენების დღის თანამდებობრივი სარგო.

7. თუ 2 კომისიაში გაწევრიანებული უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით სამჯერ არ დაესწრება კომისიების სხდომებს, მას სამზე მეტი გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაექვითება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომისიის სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო, ხოლო თუ 1 კომისიაში გაწევრიანებული უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ორჯერ არ დაესწრება კომისიის სხდომას, მას ორზე მეტი გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაექვითება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომისიის სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო. უმაღლესი საბჭოს წევრის კომისიის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება კომისიის სხდომის ოქმში, რის შემდეგაც კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი სხდომის თავმჯდომარის მიერ ეგზავნება ბუღალტერიას ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის დასაქვითად.".

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1–7^3 პუნქტები:

„7^1. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პლენარულ სხდომას, მას დაექვითება პლენარული სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო. უმაღლესი საბჭოს წევრის პლენარულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ფორმდება საოქმო ჩანაწერით. მომდევნო თვის 10 რიცხვამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი საოქმო ჩანაწერის საფუძველზე ადგენს პლენარული სხდომის არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას და უგზავნის ბუღალტერიას ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის დასაქვითად.

7^2. ამ მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს წევრისათვის დაქვითული თანხის საერთო რაოდენობა კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის თანამდებობრივი სარგოს 50%-ს.

7^3. ამ მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება უმაღლესი საბჭოს წევრზე არასასესიო ან რიგგარეშე სხდომის პერიოდში.".

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კომისია ყოველთვიურად ადგენს კომისიის სხდომების გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას, თითოეული მათგანის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და გაცდენის თარიღების მითითებით. კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სია პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.".

დ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ყოველი სესიის ბოლოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი ადგენს არასაპატიო მიზეზით უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას, ფრაქციების მითითებით, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და გაცდენის თარიღების მითითებით. პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სია პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზია, უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ უმაღლესი საბჭოს პლენარულ და კომისიების სხდომებზე დაუსწრებლობის განმსაზღვრელი ნორმების ახლებური რეგულირება.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი უმაღლესი საბჭოს პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზებისა და პლენარული და კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში დადგენილი შესაბამისი რეაგირების მექანიზმების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა და მათი მკაფიოდ ჩამოყალიბება.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 67-ე და 144-ე მუხლებში. კერძოდ:

67-ე მუხლის:

– მე-4 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, თუ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის გახსნისას ჩატარებული რეგისტრაციის შედეგების მიხედვით სხდომათა დარბაზში არ იმყოფება უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, სხდომის თავმჯდომარე რეგისტრაციის ჩატარებიდან 15 წუთის განმავლობაში ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. თუ ამ შემთხვევაშიც არ აღმოჩნდა უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, მომდევნო 45 წუთის განმავლობაში სხდომის თავმჯდომარე ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს სხვა გადაწყვეტილება;

– მე-5 და მე-6 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს სხდომის გახსნისას და კენჭისყრის წინ უმაღლესი საბჭოს წევრთა რეგისტრაციის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი აღრიცხავს უმაღლესი საბჭოს წევრთა დასწრებას. ფრაქციათა თავმჯდომარეები, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – ფრაქციის მდივნები, რეგისტრაციამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს წერილობით აწვდიან ინფორმაციას მათი წევრების მიერ სხდომის გაცდენის მიზეზების თაობაზე. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, მის მიერ სხდომის გაცდენის მიზეზის თაობაზე სხდომამდე თვითონ აცნობებს წერილობით უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს. თუ დადგენილ ვადაში ზემოაღნინული პირები არ მიაწვდიან უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს ინფორმაციას, უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად ჩაეთვლება;

– მე-8 და მე-9 პუნქტები ყალიბდება შემდეგი რედაქციით: უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ ფრაქცია, დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი პოლიტიკური შეხედულებების გამო

უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობაზე. ამის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ. მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინება. აღნიშნული მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იქნეს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს - პლენარული სხდომის გაცდენის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე) - კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში.".

144-ე მუხლის:

– მე-6 და მე-7 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ,

მე-6 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, დაექვითება სანქციის გამოყენების დღის თანამდებობრივი სარგო.

მე-7 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ თუ 2 კომისიაში გაწევრიანებული უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით სამჯერ არ დაესწრება კომისიების სხდომებს, მას სამზე მეტი გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაექვითება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომისიის სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო, ხოლო თუ 1 კომისიაში გაწევრიანებული უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ორჯერ არ დაესწრება კომისიის სხდომას, მას ორზე მეტი გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაექვითება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომისიის სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო. უმაღლესი საბჭოს წევრის კომისიის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება კომისიის სხდომის ოქმში, რის შემდეგაც კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი სხდომის თავმჯდომარის მიერ ეგზავნება ბუღალტერიას ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის დასაქვითად.

– მე-7 პუნქტის შემდეგ ემატება 7^1–7^3 პუნქტები, რომლის შესაბამისად:

თუ უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პლენარულ სხდომას, მას დაექვითება პლენარული სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო. უმაღლესი საბჭოს წევრის პლენარულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ფორმდება საოქმო ჩანაწერით. მომდევნო თვის 10 რიცხვამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი საოქმო ჩანაწერის საფუძველზე ადგენს პლენარული სხდომის არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას და უგზავნის ბუღალტერიას ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის დასაქვითად.

რეგლამენტის 144-ე მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს წევრისათვის დაქვითული თანხის საერთო რაოდენობა კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის თანამდებობრივი სარგოს 50%-ს.

რეგლამენტის 144-ე მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება უმაღლესი საბჭოს წევრზე არასასესიო ან რიგგარეშე სხდომის პერიოდში.".

– მე-8 პუნქტიც ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც, კომისია ყოველთვიურად ადგენს კომისიის სხდომების გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას, თითოეული მათგანის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სხდომების რაოდენობისა

და გაცდენის თარიღების მითითებით. კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სია პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

– მე-8 პუნქტის შემდეგ ემატება მე-9 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ყოველი სესიის ბოლოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი ადგენს არასაპატიო მიზეზით უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას, ფრაქციების მითითებით, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და გაცდენის თარიღების მითითებით. პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სია პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება იქონიებს ფინანსურ გავლენას უმაღლესი საბჭოს იმ წევრებზე, რომლებიც მოექცევიან მისი რეგულირების სფეროში.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები – დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები – დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 67

1. უმაღლესი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. დილის სხდომისა და საღამოს სხდომის გახსნის წინ და კენჭისყრების წინ ტარდება უმაღლესი საბჭოს წევრთა რეგისტრაცია.

3. თუ რეგისტრაციის შედეგი ეჭვს იწვევს, სხდომის თავმჯდომარეს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაციან ჯგუფს უფლება აქვთ მოითხოვონ რეგისტრაციის შედეგების შემოწმება რეგისტრაციაში გატარებულ პირთა სიის ამოკითხვით. ხელახალი რეგისტრაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭო იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საეჭვო ხმების რაოდენობა ცვლის რეგისტრაციის საბოლოო შედეგს. (17.09.2008. №311)

4. თუ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის გახსნისას რეგისტრაციის შედეგების მიხედვით სხდომათა დარბაზში არ იმყოფება უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, სხდომის თავმჯდომარე რეგისტრაციის ჩატარებიდან 15 წუთში ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მიიღოს სხვა გადაწყვეტილება.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი სხდომის გაცდენის მიზეზის თაობაზე სხდომამდე თავად აცნობებს წერილობით სხდომის თავმჯდომარეს. (29.01.2010. №69)

6. თუ დადგენილ ვადაში ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირები არ მიაწვდიან სხდომის თავმჯდომარეს ინფორმაციას, უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად ჩაეთვლება. (29.01.2010. №69)

7. უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა ჩაეთვლება გაცდენილად, თუ იგი არ გაივლის რეგისტრაციას. (29.01.2010. №69)

8. უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ იგი პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაზე. აღნიშნულის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ. (29.01.2010. №69)

9. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინება. აღნიშნული მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იქნეს სხდომის თავმჯდომარე - პლენარული სხდომის გაცდენის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე) - კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში. (29.01.2010. №69)

მუხლი 144

1. უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს წევრს სიტყვას ჩამოართმევს, თუ იგი:

ა) სიტყვით გამოდის სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე;

ბ) სიტყვით გამოდის და არ მსჯელობს განსახილველ საკითხზე;

გ) სიტყვა მიეცა პროცედურულ ან პირად საკითხებზე და თავის გამოსვლაში შეეხო სხვა საკითხებს;

დ) აჭარბებს რეგლამენტით დადგენილ დროს ან იმ დროს, რომელიც მას გაუგრძელეს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

2. გაფრთხილება გამოიყენება იმ უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ, რომელიც:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის «ა», «ბ», «გ» და «დ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვის ჩამორთმევის შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;

ბ) სიტყვით გამოდის უმიკროფონოდ;

გ) ჩაიდენს მოქმედებას, რომელიც იწვევს რეგლამენტით განსაზღვრული წესით წარმართული სხდომის შეფერხებას.

3. გაფრთხილება ოქმში შეტანით გამოიყენება, თუ უმაღლესი საბჭოს წევრი:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის «ა», «ბ« და «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაფრთხილების შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;

ბ) არღვევს პერსონალურ საკითხებზე კენჭისყრის ფორმას;

გ) უკვე გააფრთხილეს იმავე სხდომაზე და კიდევ საჭიროებს გაფრთხილებას.

4. სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენება იმ უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ:

ა) რომელმაც იმავე სხდომაზე უკვე მიიღო გაფრთხილება ოქმში შეტანით და იგი კვლავ არღვევს წესრიგს;

ბ) რომელიც სჩადის ძალადობას ან ამგვარი მოქმედებისაკენ მოუწოდებს უმაღლესი საბჭოს წევრებს.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, ვალდებულია დატოვოს სხდომათა დარბაზი.

6. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, დაექვითება სანქციის გამოყენების დღის ხელფასი და უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება.

7. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ორჯერ არ დაესწრება კომისიის ან ერთხელ პლენარულ სხდომას, მას დაეკისრება ჯარიმა გაცდენილი დღის ხელფასისა და უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურების ოდენობით. უმაღლესი საბჭოს წევრის კომისიის ან/და პლენარულ სხდომაზე დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება საოქმო ჩანაწერით, კომისიის ან/და პლენარული სხდომის თავმჯდომარის მიერ აღირიცხება და ეგზავნება უმაღლესი საბჭოს აპარატსა და ბუღალტერიას შესაბამისი თანხის დასაკავებლად. (29.01.2013. №26)

8. კომისია ყოველთვიურად ადგენს კომისიის სხდომების გამცდენი უმაღლესი საბჭოს წევრების სიას, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და თარიღის მითითებით. კომისიის სხდომების გამცდენი უმაღლესი საბჭოს წევრების სია გადაეცემა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას, რომელიც მონაცემების სისწორის შესწავლის შემდეგ უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას პრესაში. (17.09.2008. №311)

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

10/07/2017
N 1923

1923-09-02-11-3-201707101428

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში
ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის თაობაზე
(N09-01-08/49, 06.07.2017)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი